

K7988
1

ՀԱՅԿԱ



ՀԱՅԿԱ ԱՐԵՎԱՄ

ԽԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ ԵՎ ԸՆԴՀԱՆՈՒՐ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



1962

საქართველოს სსრ პოლიტიკური
და ეკონომიკური ცოდნის გამაგრებელი საზოგადოება

დოც. ა. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე

ანვანების სასექციის გამოყენება
მასშველები კედების მოსავლისანობის
გარიებებისათვის

7985



თბილისი

1962



Ց Ա Ե Ա Խ Ե Ս

ԹՇվանց Սասլյուս գոռհմեծո	6
ԹՇվանց Սասլյուս ցոյզերանօմեա	8
Ուղարկուլո Ծնօծեծո ԹՇվանց Սասլյուս դա մոսո ցըոցհապուլո ցաշըլուլո	8
ԹՇվանց Սասլյուս ցաշըլուլո նուժագոս տքուսեծեծո	11
նուժագոս ծուռլոցուր տքուսեծեծո ցաշըլուն	12
ԹՇվանց Սասլյուս, հոգորու նուժագոս էլումուսոս ֆյարո	13
ԹՇվանց Սասլյուս Սառոսն տքուսեծեծո նուժագոս	18
ԹՇվանց Սասլյուս ցիցրո նուժագոս ցաշըլուրեծոս սայմեծո	15

საქართველო ცნობილია თავისი მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით. არ მოიპოვება ისეთი რაიონი, კუთხე, საღაც ამ თავისებურ მრავალფეროვნებას არ გხედავდეთ. არ მოგვეპოვება არცერთი რაიონი, საღაც არ იყოს ორლიეფის, კლიმატის, ნიადაგისა და სხვა პირობათა მრავალფეროვნება, ასეთივე მრავალშინარსიანი და მდიდარია სოფლის მეურნეობაც.

ყოველ ზონას თავისი დამახასიათებელი, მქეთრად განსხვავებული ბუნებრივი პირობები აქვს. ამ მდგომარეობას სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ საქართველოში ყველა დარგის განვითარება-აყვავებისათვის ამოუწურავი შესაძლებლობა არსებობს.

აგრონომებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის არსებული განუზომელი შესაძლებლობა უსაზღვრო ასპარეზს ქმნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძველზე პროდუქტთა სიუხვის მისაღწევად და ნედლეულით წარმოების უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის **XXII** ყრილობაზდასახა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისაკენ. მაგალითად, სუსტად არის გამოყენებული მწვანე სასუქი. მაშინ როდესაც ნიადაგში მწვანე სასუქის შეტანა წარმოადგენს ისეთ აგროტექნიკურ ღონისძიებას, რომელიც დღეიდანვე შეუფერხებლად შეიძლება მასობრივად გამოვიყენოთ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში ნიადაგების გაკულტურებისა და მინდვრის ყველა მცენარის მოსავლიანობის გადიდებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კლიმატურ და ნიადაგურ პირობებში მწვანე სასუქის გამოყენების განუსაზღვრელ დადებით ეფექტს ცხადყოფს ამ მხრივ უკვე დაგროვილი გამოცდილება.

მწვანე სასუქს შეუძლია შეუზღუდავი რაოდენობით მოგვცეს
ბმული აზოტი, რომელიც შეუცვლელი ელემენტია მაღალი მოაკ-
ლიანობისათვის, და ორგანული ნივთიერება, რომელმაც ხელი
უნდა შეუწყოს ეწერ ნიადაგზე, თხელსახნავფენიან, ჩამორეცხილ
და ჰუმუსით ლარიბ სხვა ნიადაგზე მოსავლიანობის შეუჩერე-
ბელ ზრდას.

ავტორის ხანგრძლივი გამოცდილება სიდერატების (მწვანე
სასუქების) გამოყენების საქმეში სრულ უფლებას გვაძლევს ვი-
ფიქროთ, რომ საქართველოს ყველა რაიონის, ყველა ზონის სარ-
წყავ და ურწყავ პირობებში ამ ღონისძიებას დიდი სამსახურის
გაწევა შეუძლია ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისა და მოსავ-
ლიანობის განუწყვეტელი ზრდის საქმეში.

სიდერატების ეფექტიანობისათვის საჭიროა მათი სწორად
გამოყენება. ამისათვის უნდა ვიცოდეთ სად, როგორ და რა სა-
ხით გამოყიყენოთ სიდერატები. ისინი, უპირველეს ყოვლისა,
გამოყენებულ უნდა იქნას მწირ, გამოფიტულ ნიადაგზე, აქ მი-
სი მოქმედება უფრო ძლიერია, ვიდრე შედარებით ნაყოფიერზე,
თუნდაც ამ შემთხვევაშიც იგი საუკეთესო შედეგს გვაძლევს.
მწვანე სასუქის სისტემატური გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია სულ
მცირე ხანში გავადიდოთ მწირი ნიადაგების ნაყოფიერება. რაც
მეტი მწვანე მასა იქნება ჩახნული, მით უკეთესი შედეგია, მით
უფრო ხანგრძლივია მისი დადებითი მოქმედება. ასეთ შემთხვევა-
ში ალარ არის აუცილებელი მისი ყოველწლიურად გამოყენება,
არამედ საკმარისია, რომ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ ჩავხნათ.
მწვანე მასა თუ დიდი რაოდენობით ჩაიხნა, ცალმხრივ განვითა-
რების შედეგად მისი მოქმედება უარყოფითი რომ არ იყოს, სა-
ჭიროა გამოვიყენოთ ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები.

მწვანე სასუქები ეფექტს მაშინ მოგვცემენ, თუ ისინი გარ-
ქვეულ ცვლილებებს განიცდიან, გახდებიან მცენარისათვის გამო-
სადეგნი. ამისათვის საჭიროა ჩახნული ორგანული მასა გაიხრწნას,
მოხდეს მისი მინერალიზაცია. მწვანე მასის ნაწილების გახვება
დადებით მოქმედებას ამკირებს, ამიტომ იგი ადრეულ ფაზაში
უნდა ჩავხნათ. ჩახვნის კარგ პერიოდად უნდა ჩაითვალოს ყვავი-
ლობის დასაწყისი ან სრული ყვავილობა.

გაუხეშებული მასა ლარიბია ცილოვანი ნივთიერებებით, ამი-
ტომ ორგანული ნივთიერების დამშეღელი მიკროორგანიზმები

იყენებენ ნიადაგის აზოტს, ამის გამო მცენარეები აზოტის **ნაკლებობას** განიცდიან.

თ უ დღემდე მცირებიშიან კოლმეურნეობებს არ შეეძლოთ უფრო სრულად გამოეყენებიათ ოანამედროვე ტექნიკა, რაც აფერხებდა მიწათმოქმედებასა და საზოგადოებრივ მეცხოველეობაში წარმოების კულტურის ამაღლებას, ხელს უშლიდა სათესი ფართობების ათვისება-გადიდებასა და უფრო მაღალი მოსავლის მიღებას, დღეს მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულ გამსხვილებულ კოლმეურნეობებს უაღრესად ფართო შესაძლებლობა მიეცათ, რომ გაადიდონ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული ახალი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტილისათვის პირველ რიგში საჭიროა ჩვენი ნიადაგების ნაყოფიერების მნიშვნელოვნად გაღილება, რაც უბირველს ყოვლისა გულისხმობს ნიადაგის გამდიდრებას ორგანული ნივთიერებებით, ეს კი გააუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს.

პრაქტიკოსები ამბობენ ამის მიღწევა ყველაზე აღვილად ნაკილის გამოყენებით შეიძლება, მაგრამ ცნობილია, რომ ჩვენს კოლმეურნეობებში ნაკელი პირველ რიგში ხმარდება ძვირფას ტექნიკურ კულტურებს, ბოსტნის კულტურებს, ხეხილის ბალებსა და სხვ. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეგრეთწოდებულ მწვანე სასუქს, როგორც ნაკელის შემცვლელ მასალას. საკოლმეურნეო მინდვრებზე მისი მასობრივი გამოყენება მორიგი საბრძოლო ამოკანაა.

მწვანე სასუქის ასეთი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, სრულიად აუხსნელი მიზეზით, პრაქტიკოსი მეურნეები—კოლეურნეები ისევ ნაკელს მისტირიან და მწვანე სასუქის გამოყენებას თითქოს უნდობლობითაც კი უცემრიან. მართალია, ნაკელის გამოყენებას საერთოდ და ჩენენშიც მასობრივი ხასიათი ჰქონდა, მიწათმოქმედნი ძალიან შეეწყვნენ მას, მაგრამ ამის გამო მწვანე სასუქისაღმი ასეთი გულგრილი მოყვრობა უმართებლოდა.

მწვანე სასუქი, ისევე როგორც ნაკელი, წარმოადგენს აზოტის მნიშვნელოვანი რაოდენობითა და ორგანული ნივთიერებით ნიადაგის გამამდიდრებელ საშუალებას. აქედან ცხადია, რომ მწვანე სასუქი ნაკელზე ნაკლებად როდი გაადიდებს ნიადაგის ნაყოფიერებას, გააუმჯობესებს მის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს.

განა მოულოდნელია, რომ მწვანე სასუქმა ასეთი დიდი ეფექ-

ტი მოგვცეს? ვფიქრობ, სრულიადაც არა, იმიტომ, რომ ივი
ადიდებს არა მარტო იმ კულტურების მოსაყლიანობას, რომელ-
თაც ვთესავთ მწვანე-სასუქჩახნულ მიწაზე, არამედ იმითაც, რომ
მწვანე სასუქი დიდად აუმჯობესებს ნიადაგის საწარმოო თვისე-
ბებს და საუკეთესო ფონს ჰქმნის პროგრესულად მზარდი მოსაყ-
ლიანობისათვის. მრავალი დადებითი თვისებების გარდა, მწვანე
სასუქი, სხვა ორგანულ სასუქებთან შედარებით, ყველაზე იაფსა
და აღვილად მისაწვდომი ორგანული ნივთიერებისა და აზოტის
წყაროს წარმოადგენს. მწვანე სასუქი განსაკუთრებით საუცხოო
შედეგს იძლევა საკმაოდ ტენიან ზონაში და იმ ნიადაგებზე, სა-
დაც ჰქმულის დიდ სიმცირეს აქვს აღვილი.

მწვანე სასუქების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია მსუ-
ბუქეებიშიან და ეწერ ნიადაგებზე. თამამიდ შეიძლება ითქვას,
რომ ასეთ ნიადაგებზე უპირატესობა მწვანე სასუქს ენიჭება. მე-
ურნეობაში ნაკელის საკმაო რაოდენობით არსებობის შემთხვევა-
შიც მწვანე სასუქის გამოყენება უფრო ადვილია, სამეურნეო
თვალსაზრისით კი ხელსაყრელი და იაფია, განსაკუთრებით გეურ-
ნეობას დაშორებული ფართობების ნიადაგის გასანოყიერებლად.

მუნაც სასუქის ფორმები

მწვანე სასუქი, როგორც თვით სიტყვის შინაარსი მეტყვე-
ლებს, ნიშნავს მცენარის მიწისზედა ნაწილის მწვანე მასის ნია-
დაგში ჩასახნავდ გამოყენება. ნიადაგში შეიძლება ჩავხნათ მთე-
ლი მწვანე მასა ან ნაწილი. მაგალითად, ნოუზერ ნიადაგში მთე-
ლი მწვანე მასის ჩახნა არ არის აუცილებელი. ასეთ შემთხვევა-
ში მწვანე მასის ნაწილი შეიძლება გამოვიყენოთ საქონლის საკვე-
ბად, ან სხვა მიზნით, ხოლო დარჩენილი ნაწვერალი და ფესვთა
სისტემა ნიადაგში ჩავხნათ. ეს იქნება არასრული განოყიერება,
ხოლო მცენარეთა მიწისზედა ნაწილი მთლიანად, რომ ჩაიხვნება
ნიადაგში, ეს სრული განოყიერებაა.

მწვანე სასუქის ფორმები მრავალგარია. ისინი შეიძლება
განვასხვავოთ გამოყენების წესის, სასუქისათვის დასათესი მცენა-
რის სახის, თესლბრუნვაში მის მიერ დაკავებული აღვილის მი-
ხედვით და სხვ.

თესლბრუნვაში დაკავებული აღვილის მიხედვით შეიძლება
გავარჩიოთ მწვანე სასუქის ორი ძირითადი ფორმა: დამოუკიდებ-

ლად ნათესი (გაზაფხულზე საკუთარ ფართობზე ნათესი) და ძარითად კულტურებს შორის ნათესი (შუალედური ნათესი). სახელდობრ დამოუკიდებელი ნათესია, როდესაც ძირითადი კულტურების — (პროტექტიული ნათესი) ადგილი ვეგიტაციის პერიოდის უმეტეს მანძილზე უჭირავს სასიდერაციო მცენარეს (გაზაფხულზე ნათესი).

შუალედური — ანუ ჩართული ეწოდება ისეთ ნათესს, რომელიც ძირითადი კულტურის მოსავლის აღებისთანავე დაითვება და განვითარებული მწვანე მასა ჩაიხვნება მეორე ძირითადი კულტურის დათესვამდე ისე, რომ არ დაბრკოლდეს ნიადაგის მოწიადება და დროულად დათესვა. მაგალითად, საქართველოს დაბლობ სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ პირობებში თავთავიანი კულტურების აღებისთანავე დაითვესბა სანაწვერალო ნათესი და ჩაიხვნება მომდევნო კულტურების დათესვამდე, თუ საშემოდგომო კულტურებია, 20-25 დღით ადრე, ხოლო თუ გაზაფხულის თავთავიანებია ან ადრე დასათესი სათოხნი კულტურები (მზესუმზირა, ჭარხალი) — გვიან შემოდგომით, ხოლო გვიან გაზაფხულზე დასათესი კულტურებისათვის სიმინდი, თამბაქო მწვანე სასუქი შარტის დამდეგზე გვიან არ უნდა ჩაიხნას.

დასავლეთ საქართველოში სიმინდისა და თამბაქოს მოსავლის აღებისთანავე შეიძლება დავთესოთ და განვითარებული მწვანე მასა ჩაეხნათ, როგორც აღვნიშნეთ, იმის მიხედვით, თუ რომელი იქნება მომდევნო კულტურა — საშემოდგომო თავთავიანები, თუ საგაზაფხულო, სათოხნი ან სხვ.

შუალედი სახით სასიდერაციო მცენარეები თესვის ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს ძირითადი კულტურის ნათესში ჩათესილი, ან მისგან განთავისუფლებულ ნაკვეთზე ნათესი, მაგალითად, სიმინდის მწერივებშორისების ბოლო კულტივაცია — გაფხვიერებისას, ან უფრო გვიან ჩათესვა. მეორე — სიმინდის მწერივებშორის გამოთესილი ლობიოს მოსავლის აღების შემდეგ, ან სიმინდის მარცვლის დასრულება — სიმწიფის დაწყებიდან — აგვისტოს ბოლოდან.

შუალედური ნათესი ჩასახნავად ყველაზე ეფექტურია, სამეურნეო თვალსაზრისით საგებით მისაღები და საიმედო. ბარისა და შემაღლებული ზონის სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ პირობებში ყველაზე კარგია სანაწვერალოდ ნათესი. სიდერატები.

სამეურნეო თვალსაზრისით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს

ერთწლოვანი მცენარეების წამონაზარდი აქვიტის გამოყენებას
ნიადაგში ჩასახნავად, სახელდობრ ერთწლოვანი პარკოსანი ბალახე-
ბის ძირითადი გათიბვის შემდეგ მიღებული წამონაზარდის ჩასახნავად
გამოყენებას (ცერცველა). განსაკუთრებით კარგად იყენებენ, კარ-
გად ანაზღაურებენ მწვანე სასუქს სათოხნი კულტურები, კერძოდ
შავრის ჭარხალი, თამბაქო, კარტოფილი და სიმინდი, ბოჭკოვა-
ნებიდან სელი, კანაფი, ხოლო სართავებიდან – ბამბა.

მწვანე სასურათის ეფექტურობა

მართალია, მწვანე სასუქი მოსავლიანობის გადიდებისა და
მისი სიმყარის ესოდენ ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს,
მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თვით ამ ღონისძიების
სრული ეფექტის მიღებისათვის არაფერო არ არის საჭირო. მწვა-
ნე სასუქის მაღალი ეფექტიანობა ყველაზე მძლავრად ვლინდება
აგროტექნიკის მაღალ ფონზე. ამ ღონისძიების მაღალი ეფექტია-
ნობა დიდად არის დამოკიდებული მისი განვითარების პირობებსა
და ნიადაგში გახრწნის-დაშლის მიმდინარეობაზეც. ჩახნული მასის
გახრწნა შეიძლება შეფერხდეს ნიადაგში წყლის სიმცირის ან
გვალვის გამო და ჩასახნავი მცენარეების მასის გადამწიფებულ-
გახევებულ მდგომარეობაში ყოფნის შედეგად.

ისორიული ცნობები მწვანე სასურათის და მისი გეოგრაფიული გავრცელება

მწვანე სასუქს, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების გამაუმჯო-
ბესებელ ღონისძიებას, შორეული წარსულიდან იცნობენ აღმო-
სავლეთი აზიის ძეველი ქვეყნები. ამ მეთოდს ჩინეთსა და ინდო-
ეთში 3 000 წლის წინათ იყენებდნენ. ამიტომ არის, რომ მიწათ-
მოქმედების ეს უძველესი ქვეყნები მწვანე სასუქის სამშობლოდ
არიან ცნობილი. აქედან ეს მეთოდი თანდათან ვრცელდებოდა
ახალ ქვეყნებში. ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომსა და სხვა ქვეყ-
ნებში იგი ჩინეთიდან და ინდოეთიდან იყო შეტანილი და დანერ-
გილი.

აღმოსავლეთის ძველ ქვეყნებში, როგორც ლიტერატურული
წყაროებიდან არის ცნობილი, ნიადაგში სასუქად მწვანე მასის
ჩასახნავად გამოყენებას და მასობრივ გავრცელებას ხელი შეუშეკო-
ერთი მხრივ იმან, რომ აქ არსებულ მეტად ხელშემწყობ კლიმა-
8

ტურ პირობებთან ერთად (სიობო, ტენი, ვეგეტაციის ხანგრძლივობა, ბრინჯის მონოკულტურა და სხვ.) მეცხოველობა ძალზე სუსტად იყო განვითარებული. ამიტომ ნაკელის სიმცირეს განიცდიდნენ. ასეთ პირობებში, (კხადია, ნაკელს მინდვრის კულტურებისათვის (კერძოდ ბრინჯისათვის) ვერ გამოიყენებდნენ. ამან ხელი შეუწყო ნაკელის მაგიერ ნიადაგში სხვადასხვა მცენარის ნორჩი მწვანე ნაწილის ჩახვნას. ამ მიზნით იყენებდნენ სარეველა ბალახებს, ტყის ბალახს, ფოთლებს და ბუჩქების ნორჩ ტოტებს. ამ მეთოდს დღესაც ფართო გამოიყენება აქვს—ბრინჯის, ზაქრის ლერწმის, ჩაის, ყავის, კაუჩუკი ვანთა და სხვა მცენარეებისათვის ნიადაგის გასანიყიერებლად. ინდოეთში ნაყიდი მწვანე მასა მიჰქონდათ საკმაოდ შორ მანძილზე—30 კილომეტრზე.

ინდოეთში ერთწლოვანი მცენარეების მწვანე მასის გარდა იყენებდნენ პლანტაციების ირგვლივ შემორგული პარკოსანი ბუჩქების ფოთლებს, ნორჩ ტოტებს, ყლორტებს, ამისათვის მათ ვეგი ტაციის მანძილზე რამდენჯერმე ჭრიუნენ.

ჩინეთში, სხვა წესებთან ერთად, მიმართავდნენ მომწიფებული ბრინჯის მწვრივებს შორის გლერძას (ასტრაგალუსის) ჩათეს-გას, რომელსაც გაზაფხულზე ბრინჯის თესვის ღროს ტალახში ფეხებით თელავდნენ.

ევროპაში, კერძოდ სამხრეთ ნაწილში მწვანე სასუქების გამოიყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. რომაელები მას ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყენებდნენ. მწვანე სასუქის გამოიყენება მათ ისწავლეს ბერძნებისაგან, რომლებმაც ეს აღმოსავლეთის ხალხებისაგან შეითვისეს. მიუხედავად ამისა, შუა ევროპაში მწვანე სასუქის მოხმარება XVIII საუკუნიდან დაიწყო. მაგალითად, გერმანიაში მწვანედ ჩასახნავი მცენარეების თესვა პირველად 1779 წელს განხორციელდა.

საფრანგეთსა და იტალიაში ფართოდ არის გავრცელებული მწვანე სასუქის გამოიყენება ხეხილის ბალსა და ვენახში. საფრანგეთში მწვანე სასუქად იყენებენ წყალმცენარეებს, რომლებსაც მარილების გაცლის მიზნით წინასწარ წვიმაში რეცხავენ.

მწვანე სასუქის გამოიყენების პრაქტიკა ევროპიდან ამერიკელებმაც შეითვისეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად მწვანე სასუქის მოხმარებას ფართო ხასიათი აქვს როგორც მინდვრის, ისე მრავალწლოვანი ნარგავებისათვისაც. განსაკუთრებით გაგრცელებულია: შემოღომა-ზამთრის პერიოდის გამოიყენება—

ერთწლოვანი მცენარეების წამონაზარდი აქვიტის გამოყენებას
ნიადაგში ჩასახნავად, სახელდობრ ერთწლოვანი პარკოსანი ბალახე-
ბის ძირითადი გათიბვის შემდეგ მიღებული წამონაზარდის ჩასახნავად
გამოყენებას (ცერცველა). განსაკუთრებით კარგად იყენებენ, კარ-
გად ანაზღაურებენ მწვანე სასუქს საოთხნი კულტურები, კერძოდ
შავრის ჭარხალი, თამბაქო, კარტოფილი და სიმინდი, ბოჭკოვა-
ნებიდან სელი, კანაფი, ხოლო სართავებიდან – ბამბა.

გვარე სასურავის ეფექტიანობა

გართალია, მწვანე სასუქი მოსავლიანობის გადიდებისა და
მისი სიმყარის ესოდენ ეფექტურ ღონისძიებას წარმოადგენს,
მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშანეს, რომ თვით ამ ღონისძიების
სრული ეფექტის მიღებისათვის არაფერი არ არის საჭირო. მწვა-
ნე სასუქის მაღალი ეფექტიანობა ყველაზე მძლავრად ვლინდება
აგროტექნიკის მაღალ ფონზე. ამ ღონისძიების მაღალი ეფექტია-
ნობა დიდად არის დამოკიდებული მისი განვითარების პირობებსა
და ნიადაგში გახრწნის-დაშლის მიმდინარეობაზეც. ჩახნული მასის
გახრწნა შეიძლება შეფერხდეს ნიადაგში წყლის სიმცირის ან
გვალვის გამო და ჩასახნავი მცენარეების მასის გადამწიფებულ-
გახევებულ მდგომარეობაში ყოფნის შედეგად.

ისტორიული ცოდვები გვარე სასურავი და მისი გეოგრაფიული გავრცელება

მწვანე სასუქს, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების გამაუმჯო-
ბესებელ ღონისძიებას, შორეული წარსულიდან იცნობენ აღმო-
საელეთი აზიის ძელი ქვეყნები. ამ მეთოდს ჩინეთსა და ინდო-
ეთში 3 000 წლის წინათ იყენებდნენ. ამიტომ არის, რომ მიწათ-
მოქმედების ეს უძველესი ქვეყნები მწვანე სასუქის სამშობლოდ
არიან ცნობილი. აქედან ეს მეთოდი თანდათან ვრცელდებოდა
ახალ ქვეყნებში. ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომსა და სხვა ქვეყ-
ნებში იგი ჩინეთიდან და ინდოეთიდან იყო შეტანილი და დანერ-
გილი.

აღმოსავლეთის ძველ ქვეყნებში, როგორც ლიტერატურული
წყაროებიდან არის ცნობილი, ნიადაგში სასუქად მწვანე მასის
ჩასახნავად გამოყენებას და მასობრივ გავრცელებას ხელი შეუწყო-
ერთი მხრივ იმან, რომ აქ არსებულ მეტად ხელშემწყობ ქლიმა-
8

ტურ პირობებთან ერთად (სითბო, ტენი, ვეგეტაციის ხანგრძლო-
ვობა, ბრინჯის მონოკულტურა და სხვ.) მეცნოველობა ძალზე
სუსტად იყო განვითარებული. ამიტომ ნაკელის სიმცირეს განიც-
დიდნენ. ასეთ პირობებში, (ჟხალია, ნაკელს მინდვრის კულტურე-
ბისათვის (კერძოდ ბრინჯისათვის) ეერ გამოიყენებდნენ. ამან ხე-
ლი შეუწყო ნაკელის მაგიერ ნიადაგში სხვადასხვა მცენარის
ნორჩი მწვანე ნაწილის ჩახვნას. ამ მიზნით იყენებდნენ სარეველა
ბალახებს, ტყის ბალახს, ფოთლებს და ბუჩქების ნორჩ ტო-
ტებს. ამ მეოთოდს დღესაც ფართო გამოყენება აქვს—ბრინჯის,
ზაქრის ლერწმის, ჩის, ყავის, კაუჩუკი ვანთა და სხვა მცენარეე-
ბისათვის ნიადაგის გასანოვიყრებლად. ინდოეთში ნაყიდი მწვანე
მასა მიჰქონდათ საკმაოდ შორ მანძილზე—30 კილომეტრზე.

ინდოეთში ერთწლოვანი მცენარეების მწვანე მასის გარდა
იყენებდნენ პლანტაციების ორგვლივ შემორგული პარკსანი ბუჩ-
ქების ფოთლებს, ნორჩ ტოტებს, ყლორტებს, ამისათვის მათ ვე-
გი ჭავის მანძილზე რამდენჯერმე ჭრიდნენ.

ჩინეთში, სხვა წესებთან ერთად, მიმართავდნენ მომწიფებუ-
ლი ბრინჯის მწერივებს შორის გლერძას (ასტრაგალუსის) ჩათეს-
ვას, რომელსაც გაზაფხულზე ბრინჯის თესვის დროს ტალახში
ფეხებით თელავდნენ.

ევროპაში, კერძოდ სამხრეთ ნაწილში მწვანე სასუქების გა-
მოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. რომაელები მას ჯერ კი-
დევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იყენებდნენ. მწვანე სასუქის გამო-
ყენება მათ ისწავლეს ბერძნებისაგან, რომლებმაც ეს აღმოსავლე-
თის ხალხებისაგან შეითვისეს. მიუხედავად ამისა, შუა ევროპაში
მწვანე სასუქის მოხმარება XVIII საუკუნიდან დაიწყო. მაგალი-
თად, გერმანიაში მწვანედ ჩასახნავი მცენარეების თესვა პირველად
1779 წელს განხორციელდა.

საფრანგეთსა და იტალიაში ფართოდ არის გავრცელებული
მწვანე სასუქის გამოყენება ხეხილის ბალსა და ვენახში. საფრან-
გეთში მწვანე სასუქად იყენებენ წყალმცენარეებს, რომლებსაც
მარილების გაცლის მიზნით წინასწარ წვიმაში რეცხავენ.

მწვანე სასუქის გამოყენების პრაქტიკა ევროპიდან ამერიკე-
ლებმაც შეითვისეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად
მწვანე სასუქის მოხმარებას ფართო ხასიათი აქვს როგორც მინ-
დვრის, ისე მრავალწლოვანი ნარგავებისათვისაც. განსაკუთრებით
გაგრცელებულია: შემოღვომა-ზამთრის პერიოდის გამოყენება —

ზამთრის ბარდის, ხავერდა ცერცვის, სოიას, ერთშლოვანი ძიძოს გამოყენება ბაშისა და სუბტროპიკული კულტურებისათვის; საფარქვეშ ნათესი—ხეხილის ბაღებში და ფართოდ არის გავრცელებული ძიძოს გამოყენება სიმინდისა და სხვა საგაზაფხულო კულტურებისათვის.

რუსეთში მწვანე სასუქის გამოყენების წესი ევროპიდან შემოვიდა XIX საუკუნის 60-იან წლებში, მაგრამ მან ფართო გავრცელება პპოვა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგ. XIX საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მწვანე სასუქი-საღმი ინტერესი საგრძნობლად იზრდება. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა ეწერი ტიბის ნიადაგების ნაყოფიერების გაღიდებას, მათს გაკულტურებას. ამ მიზნით ფართოდ იყენებდნენ წიწიბურას, ბარდას, ცერცველასა და სხვა მცენარეების მწვანე მასას ნიადაგში ჩასახნავად.

რუსეთში მწვანე სასუქს პროპაგანდას უწევდნენ პროფ. პ. ბუდრინი და პროფ. ს. ბოგდანოვი. მწვანე სასუქებზე, როგორც საუკეთესო ორგანულ სასუქებზე, აგრონომიული შეხეულების განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი აკად. დ. პრიანიშნიკოვის კლასიურმა ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა.

ხანჭიოლის თესვა მწვანე სასუქად პირველად ჩატარებულ იქნა XIX საუკუნის ბოლო წლებში და XX საუკუნის დამდეგს. 1910 წ. მწვანე სასუქებზე კოლექტიური ცდები ჩატარდა ჩერნიგოვის გუბერნიაში. 1916 წ. ზაფხულში საფუძველი ჩაეყარა ნოვოზიმოვის საცდელ საღურს, მაგრამ ფაქტიურად ნორმალური მუშაობა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაიშალა. ამ საგამოკვლეო დაწესებულებამ მეტად დიდი მუშაობა გასწია, დრდი კვალიც დატოვა მწვანე სასუქებისა მოხმარების საქმეში. 1923-24 წლებში ბელორუსიაში დაარსდა სილნარი ნიადაგების საცდელი დაწესებულებები.

სასიცერაციო კულტურებისა და კერძოდ ხანჭიოლის თესვამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის შემდეგ.

საქართველოში მწვანე სასუქის შესწავლა და გამოყენება კი-დევ უფრო გვიან დაიწყეს და ისიც უმთავრესად სუბტროპიკულ კულტურათა გავრცელების რაიონებში. პირველი ცდები მწვანე სასუქების გამოყენების მხრივ ჩატარდა ქუთაისის საცდელ მინდორზე 1898 წ. უფრო გვიან მწვანე სასუქის შესწავლას დიდი

დრო დაუთმეს და პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის
ცდები ჩაატარეს ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედმა საკვლევმა დაწე-
სებულებებმა (აჯამეთის საცდელი სადგური, ჩაისა და სუბტრო-
პიკულ კულტურათა ინსტიტუტი და მისი ქსელი, ყოფილი მემინ-
დვრეობის ინსტიტუტი და მის სისტემაში შემავალი საცდელი
დაწესებულებები). ამავე დაწესებულებებმა დიდი მუშაობა გასწიეს
მწვანე სასუქის პრაქტიკაში დანერგვის მხრივაც.

მუნიციპალიტეტის გავლენა რეალიზაციის თვისებებზე

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული
ახალი ამოცანის პირნათლად და ვადაზე აღრე შესრულებისათვის
საჭიროა სახნავ-სათესი ფართობების ნიადაგის ჯერ კიდევ დაბა-
ლი ნაყოფიერების გადიდება. ჩვენი ნიადაგები ლარიბია ორგანუ-
ლი ნივთიერებით—ჰუმუსით. მოსავლიანობისა და მისი ხარისხი-
სათვის ბრძოლის ამოცანას წარმოადგენს ორგანული ნივთიერე-
ბით ნიადაგის გამდიდრება და ამით ნიადაგის ფიზიკური და ქი-
მიური თვისებების გაუმჯობესება. ამ საკითხის წარმატებით გა-
დაჭრისათვის, პირველ რიგში ყურადღება უნდა გავამახვილოთ
მწვანე სასუქზე

საქართველოში განსაკუთრებით დიდი მომავალი აქვს მწვანე
სასუქს. საკოლმეურნეო მინდვრებზე მისი მასობრივი გამოყენება
მტკიცე საფუძველს შექმნის სოფლის ნეურნეობის წინაშე მდგარი
ამოცანების გადასაჭრელად. მწვანე სასუქით, ორგორც ორგანუ-
ლი ნივთიერების წყაროს, ზეგავლენით პირველ რიგში განპირო-
ბებულია ნიადაგის ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების
გაუმჯობესება. მწვანე სასუქის გახრწნის შედეგად იზრდება ნია-
დაგში ჰუმუსის შემცველობა. ჰუმუსი გავლენას ახდენს ნიადაგში
მიმდინარე ყველა პროცესზე. იგი წარმოადგენს ერთ მთავარ ფაქ-
ტორს, ორმელიც განსაზღვრავს სტრუქტურულ მდგომარეობას
და ნიადაგის შთანთქმის უნარს. ორგანული წარმოშობის კოლო-
იდების დაგროვება, სტრუქტურის გაუმჯობესება განაპირობებს
ნიადაგის აერაციას და წყლის უკეთეს რეჟიმს, ამცირებს თიხა
ნიადაგების შეკოწიწების უნარსა და წინააღმდეგობას, ხოლო
ფხვიერი ქვიშნარი ნიადაგების შეკრულობის გადიდებას უწყობს
ხელს.

მუქად შეფერილი ჰუმუსის ნაწილაკების შემცველობის გადი-
დება ნიადაგში ხელს უწყობს მის უკეთესად გათბობას და ამცი-
რებს მის დაკარგვას. ამით უმჯობესდება ნიადაგის სითბოს რე-
ზიმი. ორგანული წარმოშობის კოლოიდებით ნიადაგის გამდიდ-
რება მნიშვნელოვნად (ათჯერ) აღიდებს შთანთქმის უნარს და
საკვებ ნივთიერებათა შეკავების თვისებებს.

ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზე მწვანე სასუქის გავლენის და-
ხასიათების დროს არ შეიძლება არ შევეხოთ მწვანე სასუქისათვის დათესილი მცენარეების ფესვთა სისტემის დადებით გავლენას ნიადაგის ღრმა ჰორიზონტულზე, ნიადაგში სიდერატთა მძლავრი და ძლიერ დატოტვილი ფესვთა სისტემა ღრმად მისი გავრცელე-
ბის დროს, ხერეტს ნიადაგის გამკვრივებულ ქვედა ფენებს და ხრწინის შემდეგ რჩება მილაკების სისტემა, რომელიც აკავშირებს სახნავ ფენას ქვენიადაგთან. ფესვთა სისტემის კედოშის შემდეგ ამ მილებით სარგებლობს სუსტი ფესვთა სისტემის მქონე კულ-
ტურული მცენარეები თავისი ფესვების ღრმად გავრცელები-
სათვის.

მწვანე სასუქისათვის დათესილი მცენარეების ღრმად გამჯდა-
რი ფესვთა სისტემის მიერ დატოვებული მილების სისტემა აუმ-
ჯობესებს ნათესის წყლით მომარავებას ღრმა ფენიდან. ამით
დიდება კულტურული მცენარეების გვალვის ამტანიაობა. ფეს-
ვთა სისტემით შექმნილი მილაკებით ძლიერდება ჰაერით მოძრა-
ობა, ნიადაგის მინერალური ნაწილის დაშლა. ამ მილაკების შემ-
წეობით ქვედა ფენებში ჩადის ჰაერი და შიკროორგანიზმები.

ნიადაგის პიოლოგიურ თვისებებზე გავლენა

მწვანე სასუქი, ნიადაგის სტრუქტურის, წყლის, ჰაერის,
სითბოს და კვების რეჟიმის გაუმჯობესებასთან ერთად, არსები-
თად ცვლის ნიადაგის მიკროფლორის არსებობის პირობებსაც. მწვანე სასუქი გავლენას ახდენს ნიადაგის მიკროფლორაზე თავისი
ზრდა-განვითარების დროს ფესვთასისტემიდან გამონაყოფით
და ნიადაგის დაჩრდილვით, ხოლო ნიადაგში მისი ჩახენის შემდევ
ის მიკროორგანიზმებისათვის უხვ ენერგეტიკულ მასალას წარ-
მოადგენს. მწვანე სასუქი საუკეთესო პირობებს ქმნის იმ მიკრო-
ფლორის მასობრივი გამრავლებისათვის, რომლის მონაწილეობი-
თაც ნიადაგში ორგანულ ნივთიერებათა გარდაქმნა მიმდინარეობს.

ჰუმურის წარმოქმნის ერთ-ერთ შეაროს წარმოადგენს მწვანე სასუქი. ნიადაგში ჩახნული მწვანე მასა მიკროფლორის ზეგავლენით იხრწნება. რამდენადაც ნორჩია მწვანე მასა, მსუბუქია ნიადაგი, რამდენადაც ორგანული ნივთიერება მეტ აზოტს შეიცავს და ძლიერია აერაცია, იმდენად სწრაფად მიმდინარეობს გახრწნითი პროცესი.

მწვანე მასის გახრწნის ინტენსიური მიმდინარეობა დამკიდებულია ტემპერატურულ რეაქციების ნორმალური ტემპერატურა და ტენი ხელს უშებენ გახრწნის ინტენსიურ მიმდინარეობას, ორგანული ნივთიერების სწრაფ მინერალიზაციას. მაგრამ თუ მაღალი ტემპერატურის დროს ტენის სიმცირეა, მაშინ მწვანე მასის გახრწნა შეფერხებულია, შენელებულია; დაბალი ტემპერატურისა და მაღალი ტენის პირობებში შენელებულია მინერალიზაციის პროცესიც.

გვანის სასური სათოან თესლბრუნვისაზე

მწვანე სასუქის გამოყენებისათვის თესლბრუნვები არ არის აუცილებელი. მისი მოხმარება შეიძლება ყოველგვარ პირობებში, მაგრამ სამეურნეო და აგროტექნიკური თვალსაზრისით მწვანე სასუქის გამოყენება უმჯობესია და უფრო მოხერხებულია კულტურების მორიგეობის შემთხვევაში, განსაკუთრებით კი რაციონალურ-სათოხნ თესლბრუნვებში. თესლბრუნვაში მწვანე სასუქების შეტანა იძლევა ფართობის უფრო სრული დატვირთვის, წლის ყველა დროის მაქსიმალურად გამოყენებისა და მომდევნო კულტურის საუკეთესო პირობების შემნის შესაძლებლობას. მინერალური და ადგილობრივი სასუქების ეფექტს ძწვანე სასუქების გამოყენება კიდევ უფრო ადიდებს და ახანგრძლივებს. ასე, რომ ეს ორი ღონისძიება ურთიერთს არ ცვლის. მაგრამ ორივე ერთად ერთმანეთის ეფექტს მნიშვნელოვნად ზრდის. მინერალური სასუქები, რა რაოდენობითაც არ უნდა შევიტანოთ ნიადაგში, მაინც არ შეამცირებს ძწვანე სასუქის საჭიროებასა და მნიშვნელობას.

მწვანე სასუქი კი, პირიქით, მინერალური სასუქების ეფექტს შეუმცირებლად, ჯერ ერთი, საგრძნობლად შეამცირებს ფართო-

ბის ერთეულზე საჭირო სასუქის რაოდენობას, რითაც ხელს
შეუწყობს მის მოტივირნეობით ხარჯვას.

თესლბრუნვების მინდვრებზე მწვანე სასუქის შეტანა უნდა
შეუფარდოთ საერთო ამოცანებს: 1. სახელმწიფო გეგმის შესრუ-
ლებას შრომის ნაყოფიერების გადიდებით; 2. პროდუქციის
თვითლირებულების შემცირებას და 3. მოსავლიანობის პროგრე-
სულად ზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ნიადა-
გის ნაყოფიერების შენარჩუნებით.

მწვანე სასუქის ეფექტურობა მთლიანად იმაზეა დამოკიდე-
ბული, თუ რა გარემოში ვიყენებთ მას. მაგალითად, სარწყავ პი-
რობებში მწვანედ ჩასახნავი მასის მიღება მრავალი გზით არის
შესაძლებელი: გაზაფხულზე დამოუკიდებელი ნათესის და სანა-
წვერალო ნათესის სახით, შემოდგომა-ზამთრის პერიოდის, ზამ-
თრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდის გამოყენებით და ძირი-
თადი კულტურის ნათესში ჩათესვით. ურწყავებებში, ცხადია, ასეთ
ფართო შესაძლებლობას მოქლებული ვართ, მაგრამ სწორი არ
იქნებოდა ამ ლონისძიებაზე სავსებით უარის თქმა, როგორც ამას
ზოგიერთი პრაქტიკოსი სჩადის (რასაც სამწუხაროდ ზოგჯერ
სპეციალისტებიც კი უკერენ მხარს). ეს აკვიატებული აზრი სრუ-
ლიად დაუსაბუთებელია და ჩვენს სინამდვილეში გაუმართლებელი.

დასავლეთ საქართველოს ურწყავ პირობებში ეს შესაძლებ-
ლობა არც ისე შეზღუდულია. თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლი-
ლი წესი მეტნაკლებად შეიძლება გამოვიყენოთ. მაგრამ აღმოსავ-
ლეთ საქართველოს ურწყავ პირობებში შედარებით ნაკლები შე-
საძლებლობა არსებობს, ვრაიდან ზაფხულის მეორე ნახევარი,
სექტემბრის ჩათვლით, მშრალი და გვალვინია. ამიტომ აქ შეიძ-
ლება გამოვიყენოთ შემოდგომა-ზამთრის პერიოდი და ძირითადი
კულტურის ნათესში ჩათესვის წესი.

მწვანე სასუქის გამოყენების წესი, მისი ეფექტიანობა, ნიადა-
გის ტიპთა და მისი მექანიკური შედგენილობით განისაზღვრება.
მაგალითად, მსუბუქ, ქვიშნარ, ღორლიან ან მეტად გამოფიტულ
ნიადაგებზე რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მწვანე მასა უნდა
ჩაიხნას და ეს ხშირად უნდა განმეორდეს ყოველ 2-3 წლის შემ
დეგ. ძწვანე მასა თესლბრუნების იმ გინდორზე უნდა ჩაეხნათ, სა-
დაც შესაძლებელია მისი მეტი რაოდენობით მიღება. მძიმე თიხა-
და თიხნარ ნიადაგებზე შესაძლებელია შეფარდებით მცირე მწვანე

მასის ჩახვნით დაკამაყოფილდეთ და უფრო იშვიათად 4.5 წელში
ერთხელ გაიძმეოროთ.

ბწვანე მასის გამოყენების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს
თესლბრუნვაში შემავალი კულტურების მორიგეობას. ჩახნული
მწვანე მასის რაოდენობა, ჩახვნის სისმირე (გამეორება) და ამას-
თან დაკავშირებით ჩასახნავი მცენარეების თესვის წესი დადგენი-
ლი იყო იმის მიხედვით, თუ რომელი კულტურები მორიგეობენ
და რა მიზნით არის დათესალი ეს მცენარეები. მაგალითად, თუ
თავთავიანს მისდევს თავთავიანი კულტურა, მაშინ სასიდერაციო
მცენარე უმჯობესია სწრაფმზარდი და მოკლე ვეგეტაციის მქონე
იყოს.

დაფერდებულ ნაკვეთებზე მწვანე სასუქის გამოყენება, მისი
ეფექტიანობა, გარდა სასიდერაციო მცენარის შერჩევისა, საჭი-
როებს დათესვის დროისა და მისი ჩახვნის კონკრეტულ პირობებ-
თან შეხამებას, რომ ნიადაგზე, გარდა საერთო მოქმედებისა, შეა-
ჩეროს ჩამორჩეცვა.

გვარე სასუქი ეფექტი ნიადაგზის გაკულტურების საჭმეულო

საინტერესოა პრაქტიკოსთა აზრი, თუ რა ღონისძიებით
მიაჩნიათ შესაძლოდ საქართველოში, საერთოდ და კერძოდ და-
სავლეთ საქართველოში არსებული ეწერების გაკულტურება, მა-
თი ნაყოფიერების გადიდება. განუხორციელებელი სურვილი და
ფუჭი ოცნებაა ამ ტიპის ნიადაგების მარტო ნაკელის საშუალე-
ბით გაკულტურება. ამით აიხსნება სწორედ რომ დღემდე ერთი
ჰექტარი ფართობიც კი არ არის ნაკელით გაკულტურებული:
შეიძლიანი გეგმით სოფლის მეურნეობაში გათვალისწინებული
ღონისძიებების განხორციელება ეწერი ნიადაგების სასურველი
გამოყენება-გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია იმიტომ, რომ
ეწერი ნიადაგები ხასიათდებიან უსტრუქტურობით, გამტევრია-
ნებით, ჰუმურის მცირე შემცველობით. ამიტომ ამ ნიადაგებზე
გამოყენებული მაღალეფებიანი აგრონომიული ღონისძიება რამ-
დენადმე კარგავს თავის მნიშვნელობას. მაგალითად, შემოღვიმნ-
ზე მოხარული ეწერი ნიადაგები გაზაფხულამდე ძალიან იტკეპნებიან
და გადახვნას საჭიროებენ, ეს პროცესი კი აგროტექნიკურად
გაუმართლებელია. ეს ნიადაგები გაზაფხულზე ისეთი მაგარი ქერ-

ქით იფარება, რომლის დამტვერვაც ძნელდება. ასეთ ნიადაგებზე,
როგორც ცნობილია, წყლის ჩაეონება შეტად გაძნელებულია და
რაც ჩაიჯონება, ისიც სწრაფად ორთქლდება. ამიტომ არის, რომ
მოსავლიანობა უშეტესად დამოკიდებულია მოსულ ნალექებზე.
რითო შეიძლება ყველა ამ უარყოფითი მღვმარეობის მოსპობა?
შეიძლება ორგანული ნივთიერებით ნიადაგის გამდიდრებით, მისი
გაკულტურებით, ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებით. ამას კი
ყველაზე უფრო ადვილად მწვანე მასის ჩახენით მივაღწევთ.

მაგალითად, მხოლოდ მინერალური სასუქების შეტანით სი-
მინდის მოსავლიანობა 50 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მწვანე-
მასაჩანულნიანგზე (მინერალური სასუქის გარეშე) სიმინდის
მოსავლიანობა 52 პროცენტით გადიდდა. განსაკუთრებით მაღა-
ლი მოსავალია მიღებული, როდესაც სამინდით ნათეს ნიადაგზე
მწვანე სასუქთან ერთად მინერალური სასუქიც შეიტანეს. ამ შემ-
თხვევაში სიმინდის მოსავალი გაუნიყოერებელ ნიადაგთან შედა-
რებით საშუალოდ 98,9 % მდე მატულობს.

სიმინდის მოსავლის ასეთი დიდი ზრდა გამოწვეულია არა
მარტო საკეცი ელემენტებით, არამედ ორგანული ნივთიერებით
გამდიდრებული ნიადაგის ფიზიკურ თვისებების გაუმჯობესებით,
რამაც განაპირობა მცენარეთა ქვების გაუმჯობესება. ამ შემთხვე-
ვაში ნიადაგი ინარჩუნებს ტენის მეტ რაოდენობას, რასაც მცე-
ნარე საჭიროების მიხედვით იყენებს. ამით აიხსნება, რომ გვალ-
ვიან-მცირენალექიან წელიწადშიც ასეთ ნიადაგზე მოსავალი ცუ-
დი არ არის.

სახნავი ფენის სილრმეს დიდი მნიშვნელობა აქვს მყარი და
მაღალი მოსავლის მიღებისათვის ეწერ ნიადაგებზე. ამ მხრივ დი-
დი მუშაობის ჩატარებაა საჭირო. დღემდე ამ საჭმეს, ერთი
მხრით, ის აფერხებდა, რომ მოხვნით დაღრმავება და ამით ქვედა
უმოქმედო ფენის სახნავ ფენაში არევა გადიდების ნაცვლად უშე-
ტეს შემთხვევაში მოსავალს ამცირებს. ამიტომ ადგილებზე პირ-
დაპირი თუ არა პირდაპირი გზით, ცდილობენ ამ ღონისძიების
გვერდის ავლას. მაგრამ საკვლევი დაწესებულებების მიერ წარ-
მოებული მუშაობის შედეგები ცხადყოფენ, რომ ეწერ ნიადაგებზე,
სახნავი ფენის გაღრმავებასთან ერთად, თუ შევიტანთ ორგანულ
ნივთიერებას, მაშინ მიზანშეწონილი და შედეგიანია ნიადაგის
სახნავი ფენის გაღრმავება, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა
აქვს მყარი და მაღალი მოსავლის უზრუნველყოფისათვის.

ზოგი ეწერი ნიადაგი იმდენად მწირია და გამოფიტული, რომ სრულიად გამორიცხულია სახნავ-სათესი ფართობიდან. ჩვენი ახლანდელი შესაძლებლობის, ცოდნის და გამოცდილების პირობებში განა შეიძლება მისი გამოყენებლობა? ცხადია, არ შეიძლება და ეს დანაშაულიც იქნება. მწვანე სასუქის რაციონალურ გამოყენებას შეუძლია ასეთი ნიადაგები გაუმჯობესოს—გააკულტუროს, გაანოყიეროს და ჩააყენოს ნაყოფიერი მიწების ჯგუფში. ასეთი დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ნიადაგში ძწვანე მასის ჩახვნას, მაგრამ საკოლმეურნეო მინდვრებზე კვლავაც ძალიან მცირედ არის იგი გამოყენებული.

ეწერ ნიადაგებზე მზრალად ხვნას, ამ ჰეტად ეფექტურ ღონისძიებას ვერ ვატარებთ ხარისხოვნად. დასავლეთ საქართველოს ბარის ზონაში კი, გამონაკლისს, გარდა, ეს ღონისძიება საერთოდ არ ხორციელდება.

ზოგიერთები ეწერ ნიადაგებზე მზრალის უეფექტურობასაც კი ამტკიცებენ იმ მოსაზრებით, რომ ზამთრის განმავლობაში ძალიან იტკეპნება, გაზაფხულზე მისი გადახვნა აუცილებელია და სხვ. ყოველივე ეს აიხსნება ეწერი ნიადაგების უსტრუქტურობით. საკმარისია ნიადაგი ორგანული ნივთიერებით გავამდიდროთ, გავაკულტუროთ, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი უარყოფითი მხარე გამოვასწოროთ. მაშინ მზრალიც თავის ეფექტს გამოამჟღავნებს: ნიადაგი არ დაიტკეპნება, არ გაიკეთებს ქერქს, მალე არ დაკარგავს წყალს და სხვ. ასეთ ნიადაგზე მზრალი ყოველგვარ მეტეოროლოგიურ პირობებში იძლევა ყველა კულტურის მაღალსა და მყარ მოსავალს. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენადაც მეტ მწვანე მასას ჩაეხნავთ ნიადაგში, მით უფრო კარგ მდგომარეობაში იქნება გაზაფხულისათვის ხნული, მით უფრო მძლავრად ვლინდება მზრალის დადებითი მოქმედება.

საქართველოში ეწერი ნიადაგების გარდა, საქმაო რაოდენობით მოგვეპოვება მცირე სილრმის ჰუმუსიანი სახნავი ფენის მქონე სხვა ტიპის ნიადაგებიც. მცენარეების მოთხოვნათა შესაბამისად ასეთი ნიადაგის დამუშავება მოითხოვს უფრო ღრმად მოხვნას, უიდრე სახნავი მიწის სილრმეა. ეს მდგომარეობა უფლებას არ გვაძლევს უმოქმედობას მივეცეთ, არ გიზრუნოთ სახნავი ფენის გაღრმავებისათვის, ვინაიდან ამ ღონისძიებით მცენარე ივითარებს მძლავრ ფესვთა სისტემას, კარგად იყენებს ღრმა ფენებიდან წყალსა და საკვებ ნივთიერებას; ამითომ მცენარე არახელსაყრელი

პირობებისადმი უფრო მეტად გამძლეა და მოსავალიც შეარი და უხვია.

სახნავი ფენის სიღრმის გადიდება რომ ზედმეტი, არაეფერ ტური იყოს, სამეცნიერო დაწესებულებების ასეთი კატეგორია: ული ძნარდაჭერა ამ ღონისძიებისადმი არ იქნებოდა, საქართველოს ყველა კლიმატური ზონის რაიონების სარწყავ და ურწყავ პირობებში ბოსტნის ნიადაგის ღრმა დამუშავებას პრაქტიკოსებიც არ მიიჩნევდნენ აუცილებელ ღონისძიებად. ცნობილია, რომ ბოსტნის კულტურების უხვი მოსავლის მიღებასათვის საქმარისი როდია ღრმა სახნავი ფენა, აუცილებელია ორგანული სასუქების შეტანაც. ამცტომ საბოსტნე ნიადაგი რა სიღრმეზეც არ უნდა დამუშავდეს, მასში ორგანული სასუქის შეტანა, როგორც წესი, სავალ დებულოდ არის ცნობილი.

ამგვარად, სოფლის მეურნეობის მუშაკებს შორის განმტკიცდა მოსაზრება, რომ შემოღომა-ზამთარაში ნიადაგის დამუშავება ბოსტნის კულტურებისათვის აუცილებელია ისევე, როგორც ნაკელის ან სხვა ორგანული სასუქის გამოყენება. მინდვრის მცნარებისათვის სახნავი ფენის გაღრმავების დროს ეწერ, მწირ ან თხელფენიან მიწებზე ნაკელი ან სხვა ორგანული სასუქი არ შეაქვთ, ურომლისოდაც დაღრმავებაც არ იძლევა დადებით შედეგს. ზოგჯერ ასეთი ნიადაგის ღრმა ხვნას იმდენ ყურადღებას არ აქცივენ, რამდენსაც მინერალური სასუქების შეტანას. ეს ღონისძიება უდავოდ საჭიროა, მაგრამ მხოლოდ მინერალური სასუქებით ვერ მივალ წეკო ნიადაგის ნაყოფიერების, მისი ფიზიკური თვისებების გაუმჯობესებას, მარტო მინერალური სასუქების შეტანა ვერ დაგვიცავს შემოღომის ხნულის დატკეპნისა და გაზაფხულზე მისი გადახვნის საჭიროებისაგან. ორგანული სასუქის, კერძოდ, მწვანე მასის ჩახვნით, როგორც აღნიშნული იყო, სრულიად ვთავისუფლდებით ზემოთმოყვანილი უარყოფითი მხარებისაგან.

ამგვარად, სახნავი ფენის დაღრმავებამ რომ სასურველი შედეგი მოგვცეს, აუცილებელია მწვანე მასის ან სხვა ორგანული ნივთიერების (ტორფი, ნაკელი, კომპოსტი) ჩახვნა, მაგრამ ამას უფრო ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, მინდვრის კულტურების ქვეშ მათ საჭირო რაოდენობით შეტანას ორგანიზებულად და სხვა მხრივაც ვერ შევძლებთ, მაშინ როდესაც მწვანე სასუქს ყოველგვარ პირობაში და ყოველთვის შეუზ-

ლუდავად გამოვიყენებთ. ამ ლონისძიებით გაუმჯობესებულ ნია-
დაგზე მცენარე მოელი მისი ცხოვრების მანძილზე უზრუნველყო-
ფილია საჭირო საარსებო პირობებით და ყოველთვის მყარსა და
უხე მოსავალს მოგვცემს. როგორც აღნიშნული გვქონდა, საჭარ-
თველოს მთავრობიან პირობებში, რაიონისა და ზონის მიხედვით,
მეტ-ნაკლებად ადგილი აქვს ნიადაგის ზედა ჰუმუსიანი - ნაყოფი-
ერი ნაწილის ჩამორეცხვას. ამიტომ სახნავი ფენა აქ მცირე
სილრმისაა და დაბალ მოსავალს ვიღებთ. ეს ნიადაგი რომ შესა-
ფერის მდგომარეობაში მოვიყენოთ ცხადია, ბევრი მნიშვნელო-
ვანი ლონისძიებაა განსახორციელებელი. უზინარეს ყოვლისა, უნ-
და შეიქმნას ნიადაგის ღრმად სახნავი ფენა, ამისათვის მიღებულ
აგროლონისძიებათა შორის დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ორ-
განული ნივთერებით სახნავი ფენის გამდიდრება-გაკულტურე-
ბასა და ჩამორეცხვისაგან მის დაცვას.

გაუმართლებელია ჩამორეცხვის შიშით თავის შეკავება ისე-
თი ლონისძიებებისაგან, როგორც არის ნიადაგის შემოღომით
მოხვნა, ღრმა ხვნა. ზერელე ხვნით ჩამორეცხვას, ცხადია, ვერ
დავიცავთ. ზერელე ხვნის ღროს სწორედ ყველაზე ნოყიერი ფენა
ირეცხება. არა თუ შემოღომაზე და ადრე გაზაფხულზე, არამედ
ზაფხულში მოხნულზეც ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც დაქა-
ნების მქონე ნაკვეთებზე გაფხვიერებული ნიადაგი ჩამოირეცხება
ხოლმე.

მცირე სილრმის ნიადაგზე მცენარე ძალზე სუსტ ფესვთა სის-
ტემას ივითარებს. ამიტომ მცენარის მიწისზედა განვითარებული
ნაწილიც შედარებით სუსტია, მას არ ახასიათებს სიმტკიცე - თავ-
თავიანები ადვილად წვებიან, ქარისაგან წაქცეული სიმინდი ვეღარ
იღებს პირვანდელ მდგომარეობას, ასევე ემართებათ მზესუმზირა-
სა და სხვა მცენარეებს, ხოლო, რაც მთავარია, გვალვას სრულე-
ბით ვერ იტანენ ნიადაგში წყლის სიმცირის გამო, საკვები ნივ-
თერების გამოყენებაც შესუსტებულია. ყოველივე ამის შედეგად
ხშირია მოუსავლიანობა, დაბალი მოსავალი კი ჩვეულებრივი მოვ-
ლენაა. ასეთ მდგომარეობას მარტო მინერალური სასუქების გა-
მოყენებით ვერ გამოვასწორებთ, ვინაიდან საკვების შეთვისება
ნიადაგში საკმარისი წყლის უქონლად ინტენსიურად ვერ მიმდი-
ნარეობს.

მთიან ზონაში ღრმა სახნავი ფენის შექმნა ისევე წარმატე-
ბით შეიძლება, როგორც ბარში. საჭიროა არა ღრმა ხვნის უარ-

ყოფა, არამედ ჩამორეცხვისაგან დაცვის ლონისძიებების განხორციელება. მყარი და მზარდი მოსავლიანობის უზრუნველყოფა, გვალვისაგან დაზღვევა, ჩამორეცხილი თხელფენიანი სახნავი ფენის გაღრმავება დამოკიდებულია კულტურული სახნავი ფენის შექმნაზე, რაც მწვანე სასუქის გამოყენებით არის შესაძლებელი. ამ წესით გასაუმჯობესებელი ნიადაგები ყველა რაიონში საქმარისად გაგვაჩნია ამიტომ რიონების ჩამოთვლა ზედმეტია.

სასიდერაციო მცენარეების ლრმა და მძლავრად განვითარებული ფესვთა სისტემა და ნიადაგის ზედაპირზე გართხმული მწვანე ნასა ჩახვნამდე კარგად იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისაგან. ჩახვნის შემდეგ კი ხელს უშესობს წყლის მიღებასა და შეკავებას, მის დაგროვებას, ამავე დროს ანელებს ჩამორეცხვას. ამას თუ შევაშვილებთ ზედმეტი წყლის (რაც ნიადაგმა ვერ დაიკავა) ასაცილებლიდ კვლების გამოყვანას, მაშინ ჩამორეცხვის საშიშროება მოისპობა. ასე შეიძლება შევქმნათ საჭირო სიღრმის კულტურული, ნაყოფიერი სახნავი ფენა და აღვევეთოთ მისი ჩამორეცხვის შესაძლებლობა. ასეთ ნიადაგზე, ცხადია, ყველა ეფექტური აგრონომიული ღონისძიება თავისი დადებითი მოქმედების შედეგად შესაძლებლობას მჰგვცემს რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ გარემო პირობები ყველა მცენარის მაღალი და ხარისხოვანი მოსავლის მიღებისათვის. ასეთი მიღომით აღარ გვექნება ცუდი ნიადაგი, აღარ გვექნება დაბალი მოსავალი.

საქართველოში არსებობს ერთი წლის მანძილზე ისეთი კულტურების ორი და სამი მოსავლის მიღების დიდი შესაძლებლობა, როგორიც არის ხორბალი და სიმინდი, ხორბალი და ფეტვი, ხორბალი და სოია, ლობიო, ხორბალი და ლომი, ერთწლიანი პარკისანი ბალახები და სიმინდი, სიმინდის ორი მოსავალი და სხვ. ასეთი შესაძლებლობის ფართოდ გამოყენებას ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ. ორი ნორმალური მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად საჭიროა გვექნდეს ნაყოფიერი ნიადაგი, რომ პირველი მოსავლის შემდეგ კვების პირობები მეორე მოსავლის კულტურისათვის სრული იყოს. ამისათვის მინერალური სასუქების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაღალი, პროგრესულად მზარდი და მყარი მოსავლის მისაღებად საქმარისი არ იქნებოდა მალოდ კვების პირობების უზრუნველყოფა მინერალური სასუქებით. ამით დაკმაყოფილება ჩვენი მიწის სრული უცოდინარობა იქნება.

შეიძლება მკითხველმა გვისაყველუროს კიდეც როგორ, ნუთუ ყველაფერია წწვანე სასუქი? მართალია, ყველაფრის გამაუმჯობე-
სებელი არ არის. მაგრამ არ ცქნება საფუძველს მოკლებული, თუ
ვიტყვით, რომ აგროლონისძიებათა კომპლექსში განვითარე-
ბის ამ ეტაპზე, მას მეტად დიდი როლის შესრულება მოუხდება;
უფრო მეტიც, ზოგიერთ ნიადაგზე ამ ღონისძიებას წამყვანი რო-
ლიც დაეკისრება და თუ ამ საქმეს სათანადო სიმაღლეზე დაგა-
ყნებთ, მაშინ როგორც მარცვლის, ისე სასილოსე და სხვა სახის
დამატებითი მეორე მოსავლის მიღების საშუალებით დიდად გავა-
დიდებთ სახნავ-სათესი მიწების მაქსიმალურად დატვირთვას დრო-
სა (წლის მანძილზე) და სივრცეში (შემციროებული ნათესი).

მეტად საინტერესოა მწვანე სასუქის გამოყენების შესაძლებ-
ლობანი ძირითადი მინდვრის მცენარეების: თავთავიანების, სიმინ-
დის, მზესუმზირასა, შაქრის ჭარხლის, თამბაქოსა და სხვა ქულ-
ტურებისათვის.

სათოხნ თესლბრუნვებში და მის გარეშე, აღნიშნული კულ-
ტურების მორიგეობის მიხედვით, მწვანე სასუქის გამოყენება და
მისი გავლენა ამა თუ იმ მცენარის მოსავლიანობის გადიდებაზე
ერთნაკრი არ არის. ამიტომ ნიადაგის ტიპისა და მისი ნაყოფიე-
რების მიხედვით სიდერატებისათვის უნდა შეირჩეს უფრო შესა-
ფერი ხელსაყრელი პირობები.

სათოხნ თესლბრუნვაში არის შემთხვევა, როდესაც თავთავია-
ნების შემდეგ ისევ თავთავიან მცენარეებს თესავენ. ამ შემთხვევა-
ში სარწყავ და ნალექებით უზრუნველყოფილ რაიონებში შეიძლე-
ბა ზაფხულის მეორე ნახევარი და სექტემბრის პირველი ნახევარი
გამოვიყენოთ სასიდერაციო მცენარეების მწვანედ ჩასახნავი მასის
შისალებად. ამ პერიოდის გამოყენებით შეიძლება ჰექტარზე 8-10
ტონა მწვანე მასის ჩახვნა, რაც, ნოვიერების გაუმჯობესებასთან
ერთად, ხელს უწყობს ნათესის უკეთ განვითარებას, ზამთრის პი-
რობების შედარებით უკეთ გადატანას, გაზაფხულზე მიწის შედა-
რებით ადრე გათბობას, ამის შედევად ვეგეტაციას უფრო ადრე
დაიწყებს, ნიადაგში არსებულ წყალსა და საკვებ ნივთიერებასაც
მცენარე უფრო კარგად გამოიყენებს. ყოველივე ამის შედეგად
მოსავლიანობაც მკვეთრად გადიდდება.

ორ წელს ზედიზედ საშემოდგომო თავთავიანების ნათესებს
შორის სასიდერაციო მცენარის თესვა-მოყვანის ჩართვას, მიუხე-
დავად იძისა, რომ ეს ტექნიკურად შესაძლებელია და შეტად

ხელსაყრელიც, სრულიად არ იყენებენ. სამწუხაროდ, ზოგჯერ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებიც კი თავს იკავებენ ამ ღონისძიებისაგან. მიწათმოქმედების ინსტიტუტის ქსელში ჩატარებული ცდების შედეგებით დამტკიცებულია, რომ ორ წელს ზედიზედ თავთავიანი კულტურების შორის სასიღერაციო ნათესის ჩათესვას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თავთავიანი მცენარეების აღების შემდეგ სასიღერაციო კულტურას (ცულისპირა) თუ დავთესავთ 20-25 ივნისამდე 200 კგ ნორმით, მაშინ ის კარგად ვითარდება და 20-25 სექტემბრამდე 10-16 ტონი მწვანე მასას იძლევა, ხოლო 20 ივნისის შემდეგ 5-10 აგვისტონდე დათესილი სასიღერაციო მცენარე (ცულისპირა) სექტემბრის 25-მდე იძლევა 7 ტონიდან 10 ტონამდე მწვანე მასას. ამ ფაქტობრივი მონაცემებიდან ნათელია, რომ ეს ღონისძიება მასობრივად უნდა დაინერგოს საკოლმეურნეო მინდვრებზე.

სიმინდი საერთოდ კარგად ანაზღაურებს ყველა გამოყენებულ აგროტექნიკურ ღონისძიებას, განსაკუთრებით მწვანე სასუქს. სიმინდი შედარებით კარგად იყენებს გარემო პირობებს, კერძოდ ნიადაგიდან საკვებ ნივთიერებასა და წყალს, ამიტომ ზოგჯერ მას გვალვისამტან და მცირე შოთხვნილების მქონე მცენარეთა ჯგუფსაც კი აკუთვნებენ ხოლმე. ეს შეხედულება თითქოს სწორია, მაგრამ თუ გავიხსენებთ მის ბიოლოგიურ თვისებებს, მის შესაძლებლობას, მაშინ ნათელი გახდება, რომ სიმინდის მაღალი მოსავლის მიღება შეიძლება წყლისა და საკვები პირობების გაუმჯობესებით. ამიტომ არის, რომ სიდერატები მნიშვნელოვნად აღიდებენ მის მოსავლიანობას ყველა მიწასა და ყოველგვარ პირობებში. დადებითი ეფექტიანობა განსაკუთრებით შესამჩნევია მწირ მიწებსა და ურწყავ პირობებში, სადაც მწვანე სასუქი დიდად ზრდის. ტენტევალობასა და ტენის ეკონომიურ ხარჯვას. ამით აიხსნება, რომ სიმინდის კრიტიკული პერიოდისათვის (ყვავილობა, მარცვლის ჩასახვა) ტენი ნიადაგში საკმარისად არის შენახული, ტაროს განვითარებაც ნორმალურად მიმდინარეობს და მოსავალი მყარი და მაღალია.

სიმინდის კულტურისათვის მწვანე ჩასახნავი მასის მიღების შესაძლებლობა სხვადასხვაა. მათ შორის სარწყავ და ნალექებიან რაიონებში ყველაზე მოხერხებულად, ეფექტურად უნდა ჩაითვალოს სანაწყვერალოდ. ნათესი — ერთწლოვანი პარკოსანი მცენარეები. სანაწყვერალოდ ნათესი სასიღერაციო მცენარეები

ნოემბრამდე დიდძალ მწვანე მასას იეითარებენ (20-30 ტონა). ასე რომ, ასეთი რაოდენობის მწვანე მასის გავლენა შეუძლია და დია ორგანული ნივთიერებით ნიაღავის გაღიღებაზე, მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუმჯობესებასა და საერთოდ მის გაკულტურებაზე იმის მიხედვით, თუ რომელ — ბარის, მთისწინა თუ მთის —ზონაში ვართ, ზამთრის პირას თუ ზამთარში ჩაიხვნება მწვანე მასა, ხოლო როდესაც სამინდი ითესება სათონენი მცენარეების შემდეგ, მწვანე სასუქის გამოყენება, ცხადია, შედარებით ძნელდება, მაგრამ ამის გამო ამ ლონისძიებაზე უარის თქმა უაზრობა იქნება.

სათონენი კულტურების შემდეგ ისევ სათონენი კულტურების დათესვის შემთხვევაში მწვანე სასუქის გამოყენება შეიძლება ერთი შუალედური ნათესის და მეორე — სიმინდის, მხესუნზირას ან სხვა სათონენი კულტურების მოსავლის აღებამდე ჯერ კიდევ ბოლო გათონების დროს, ან სექტემბრის დამდეგს წყვრილებს შორის პარკოსანი მცენარეების ჩათესვით. პარკოსნები ძირითადი კულტურის აღების შემდეგ კარგად ვითარდება და საკმაოდ კარგ მწვანე მასას იძლევა. სათონენი კულტურების აღების შემდეგ ოქტომბერში დათესვის ეს ლონისძიება ერთი იმ შესაძლებლობათაგანია, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ძირითადი კულტურის მოსავლის შეუმცირებლად და პარკოსანი მცენარეების დამატებითი მოსავლის მისაღებად. სარწყავ და ნალექებით უზრუნველყოფილ რაიონებში სიმინდის ან სხვა სათონენი კულტურების მეორე გათონების დროს მწვრივებს შორის შეთესილი პარკოსანი მცენარეებისათვის წყლის საკმარისი მარაგია. საკვები ნივთიერების მხრივ უზრუნველყოფაც აღვილად მისაღწევია. საჭიროა მხოლოდ, რომ სწორად და სრულად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი.

პარკოსანი მცენარეების (ცულისპირა, ცერცველა, სოია, ბარდა სხვ. სიმინდის მწვრივებს შორის შეთესვის წინ კულტივაციის ჩატარებით ისპობა სარეველა ბალახები, საკმარის სიღრმეზე ფხვიერდება მიწა და ითესება ჩასათესი მცენარეების თესლი.

ეს ჩათესილი მცენარეები ისეთ კონკურენციას არ უწევინ ძირითად კულტურას, რომ მის ზრდასა და მოსავლიანობაზე უარყოფითი გავლენა იქმნიონ. ვიდრე ძირითადი კულტურის მოთხოვნილება წყლისა და საკვებისადმი დიდია, გამოთესილი მცენარეები იმდენად ნაზი და პატარაა, რომ სიმინდისათვის მათი მეტოქეობა შეუმჩნეველია. ხოლო მათი განვითარების და მოღო-

ნიერების დროს სიმინდი განვითარების ისეთ ფაზაშია, რომ ნიადაგში არსებული ტენითა და საკვები ნივთიერებით სრულად მაინც ვერ სარგებლობს. ამიტომ შეთესილი მცენარეები სარგებლობენ ამ მდგომარეობით და კარგად ვითარდებიან, დიდ მასას იძლევიან თივად და მიწაში ჩასახნავად.

არსებობს მეორე საყურადღებო შესაძლებლობა — სიმინდში შეთესილი ლობიოს აღების შემდეგ მივიღოთ პარკოსანი მცენარეების მწვანე მასის მოსავალი. სიმინდში ჩათესილი ლობიოს მოსავალს იღებენ რაიონის კლიმატური და ნიადაგური პირობების მიხედვით 25 ივლისიდან აგვისტოს 10-მდე, ასე რომ ადრეული ყინვების დაწყებამდე იმდენად დიდი დრო რჩება, რომ თავისუფლად შეიძლება საქმაოდ დიდი რაოდენობით მოვიყვანოთ მასა სასილოსედ, სათივედ და მწვანედ ნიადაგში ჩასახნავად.

შეთესილი ლობიოს მოსავლის აღებისთანავე სიმინდის მწვრივთშორისებში უნდა გატარდეს კულტივაცია სარეველა ბალახების მოსასპობად და დამჯდარი — დატეკპნილი მიწის გაფხვიერებისათვის. გაფხვიერებისთანავე დაითესება პარკოსანი მცენარეების თესლი ცხენის სათესი მანქანით. ლობიოს მოსავლის აღების შემდეგ ამავე ფართობზე პარკოსანი მცენარეების ჩათესვის აგროტექნიკური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ პერიოდში გამოიტესილი პარკოსანი მცენარეები ხელს უწყობენ ზაფხულის მეორე ნახევარში მოზარდი სარეველა ბალახების მოსპობას.

ამ პერიოდში ჩათესილი მცენარეები, გარდა იმისა, რომ მეურნეობას მესაქონლეობისათვის მაღალხარისხის საკვებ მასალას მისცემენ თივის ან სასილოს მასალის სახით, დიდი რაოდენობითა და საუკეთესო ასაკში მყოფ მასალასაც იძლევიან შემოდგომაზე სიმინდის მოსავლის აღების შემდგომ მიწაში ჩასახნავად.

სათოხნი კულტურებისაგან განთავისუფლებული ნაკვეთების გამოყენების შესაძლებლობა, ცხადია, ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე ხორბლის იღების შემდეგ. მაგრამ შემოდგომა, ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდების გამოყენება საკვები მასალის მისალებად საყურადღებოა, რადგან ჯერ ერთი, ამ პერიოდის გამოყენებით დიდი მასის მიღება შეიძლება, მეორეც, როგორც დათესვის, ისე აღებისა და სხვა პროცესების სრული მექანიზება შეიძლება. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, დღემდე ეს შესაძლებლობა შესაფერისად როდია გამოყენებული. ოქტომბერ-ნო-

ემბრიის თვეებიდან აპრილამდე მთელი სახნავი ფართობი იითქმის
ცარიელია — გამოუყენებელია.

ამრიგად, შემოდგომა-ზამთრის პერიოდის გამოუყენება უდა-
ვოდ უზრუნველყოფს საკოლმეურნეო მინდვრებზე ერთი წლის
მანძილზე ორი მოსავლის მიღებას, უზრუნველყოფს სპეციალურად
გამოყოფილი ფართობის გარეშე მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.
ეს კი სრულ შესაძლებლობას მოგვცემს მწვანე მასის ჩახვნით გა-
ვადიდოთ ნიადაგის ნაყოფიერება და გავაკულტუროთ იგი, ამას-
თან დიდ სამსახურს გავგიწევს, რომ სახნავი მიწა ჩამორეცხვისა-
გან დავიცვათ. იმის მიხედვით, თუ რომელი მცენარეა, და როდის
არის დათესილი საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ბარის
ზონის სარწყავ და ნალექებით უზრუნველყოფილ პირობებში, აგ-
რეთვე ნიადაგის ტიპისა და მისი ნაყოფიერების მიხედვით, შესა-
ძლებელია მივიღოთ: ბარდის მოსავალი სექტემბრის პირველ დე-
კადაში დათესილი აპრილის დასაწყისში მოგვცემს მწვანე მასას
15-დან 20-მდე ტონას მარტის მესამე დეკადაში აღების შემთხვე-
ვაში გვაძლევს 7-8 ტონას; ოქტომბრის პირველ დეკადაში დათე-
სილი აპრილის პირველი დეკადისათვის გვაძლევს 8-10 ტონას,
ნოემბრის პირველ დეკადაში დათესილი აპრილის პირველი დეკა-
დისათვის გასათიბ მასას ძალზე მცირეს იძლევა, მაგრამ თუ და-
ვაცდით აპრილის დამლევამდე, შაშინ მწვანე მასის მოსავალი
თითქმის 7-10 ტონას აღწევს. ამაზე გვიან დათესილი გაზაფხული-
სათვის იძლევა მხოლოდ გასაძოვებელ მწვანე მასას; ამასთან მი-
წაში ჩასახნავად მაინც კარგია. ეს მცირე მასა ნიადაგს წყლისა
და ქარის ეროვნისაგან მეტად კარგად იცავს.

ცერცველი, ბარდასთან შედარებით, აღრე გაზაფხულისათ-
ვის ნაკლებ მასას ივითარებს. მაგალითად, სექტემბრის დამდეგს
დათესილი აპრილის დასაწყისისათვის ივითარებს 5-10 ტონას,
სექტემბრის მეორე ნახევარში დათესილი აპრილის დამდეგისა-
თვის ივითარებს თითქმის ამდენსავე მწვანე მასას, ოქტომბრის
პირველ დეკადაში დათესილი აპრილის დასაწყისისათვის იძლევა
3-5 ტონამდე. კარგ მასას ივითარებს ჩიტიცება. სექტემბრის და-
საწყისში დათესილი 20 ტონა მწვანე მასას იძლევა, ოქტომბრის
პირველ ნახევარში დათესილი 10-12 ტონას.

სათოხნი კულტურების აღების შემდეგ ოქტომბერში დათე-
სილი სასიღერაციო მცენარეები შედარებით ნელა ვითარდებიან

და იმავე შემოდგომაზე ჩასახნავ მასას ვერ ვიღებთ. ვერ გამოვიყენებთ მათ ადრე დასათეს შესუმზრას, კარტოფილისა და შაქრის ჭარხლისათვის, მაგრამ სიმინდის, თამბაქოს და შედარებით გვიან დასათეს და დასარგავ სხვა მცენარეებისათვის მათი გამოყენება თავისუფლად შეიძლება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მწვანე მასა გავთიბოთ მწვანე საკვებად, თივად ან გამოვიყენოთ გასაძვებლად, განსაკუთრებით მოზარდი ცხოველებისათვის, ანდა სხვა მიზნით და დარჩენილი ნაწვერალი ჩავხნათ ნიაღაგში. ეს დიდად შეუწყობს ხელს საკვები ბაზის გამტკიცებას გაუმჯობესებას.

გარდა იმისა, რომ სანაწვერალო ნათესს სასილოსედ, მწვანე საქვებად და ნიაღაგში ჩასახნავად იყენებენ, მას დიდი სამეურნეო და აგროტექნიკური მნიშვნელობის სამსახურის გაწევა შეუძლია, ქირძოდ, ეროზიული მოვლენების შენელება, მოსპობა და სარეველების ჩახშობა-მოსპობა.

ადრე გაზაფხულზე დასათესი მცენარეების — შაქრის ჭარხლისა და კარტოფილის კულტურების ქვეშ მწვანე ჩასახნავად უნდა გამოვიყენოთ სანაწვერალო ნათესი მცენარეები, რომელიც გვიან შემოდგომაზე ან ზამთრის პირას ჩაიხვნება ნიაღაგში. ამ პერიოდში ჩახშობის სრულიად არ უშლის ხელს დათესილი მცენარის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, პირიქით ხელს უწყობს წყლის შენახვას, ამცირებს აორთქლებას, ვეგეტაციის პერიოდში მოსულ ნალექებს მთლიანად ითვისებს და ეკონომიურად იყენებს. ყველა ეს მტკიცე პირობას ქმნის მყარი და მაღალი მოსავლი-სათვის.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ძირითადად იყენებენ ერთწლოვან პარკოსან მცენარეებს და ვფიქრობთ, რომ მომავალშიც წამყვანი მნიშვნელობა მათ ექნებათ. მართალია, მშობლიურ და საზღვარგარეთის ლიტერატურაში ცნობილია მრავალწლიანი პარკოსანი ბალახების გამოყენება, მაგრამ ამას უფრო ხშირად შემთხვევითი ხასიათი აქვს. მწვანე სასუქად შეიძლება გამოვიყენოთ მარცვლოვანი მცენარეებიც. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მდგომარეობაა ამა თუ იმ კონკრეტულ პირობებში.

მართალია, მარცვლოვანი მცენარეები პარკოსნებთან შედა.

რებით ნაკლებად ეფექტურია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შესაძლოა მათ მივცეთ უპირატესობა, როგორც სამეურნეო თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილსა და მოსახერხებელსაც.

წარმოებაში მწვანე სასუქის დანერგვას რამდენადმე ისიც უშლიდა ხელს, რომ: 1. ადგილობრივი მეტეოროლოგიური და ნიადაგური პირობების შესაფერი. მცენარეები არ იყო გამოვლინებული; 2. არ იყო შერჩეული შესაფერისი გეგჩტაციის მქონე და სწრაფად მიზარდი მცენარეები; 3. არ იყო შერჩეული დაბალი ტემპერატურის—ყინვების (ზამთარში მოზარდი), ცხელი და მშრალი პირობების ამტანი მცენარეები (სანაწვერალო); 4. აგაღმყოფობისა და მავნებელთა გამძლე ფორმები და სხვ.

მწვანე სასუქისათვის შესაფერისი მცენარის შერჩევის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ სასიდერაციო მცენარის თესლის ადვილად მიღება ადგილზევე — კოლმეურნეობაში. მაგალითად, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში საუკეთესო სანაწვერალო მცენარეს წარმოადგენს ცულისპირა. იგი არ ავადდება მებარცვლიათი, არ ეშინია ზაფხულის მეორე ნახევრის მაღალი ტემპერატურისა. ცულისპირა ხელშეწყობ პირობებში იძლევა წამონაზარდს—აქვიტს. ამ მხრივ ცერტველა და ბარდა ცხადია, გას შედარებით ჩამორჩებიან, დაავადებისა და მავნებლებით დაზიანების შემთხვევებიც მეტია.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სარწყავ და დასავლეთ საქართველოს ბარის პირობებში, გარდა აღნიშნული მცენარეებისა, კარგ მასას იძლევიან სოია იმერული, ძაბა და მაშა ლობიო. ამგვარად, მეურნეობას დიდი ასორტიმენტი გააჩნია იმისათვის, რომ საჭიროების დროს ის მცენარე დაითესოს, რომლის თესლიც მოეპოვება. ჩამოთვლილი მცენარეები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სარწყავ ნალექებით უზრუნველყოფილ რაიონებში სათანადო კულტურების ხწერივებს ზორის ჩასათხესად. ამ წესს, გარდა სასიდერაციო მასის მიღებისა, დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს სარეველებიდან ნაკვეთის გაწმენდის, ჩამორეცხვის შეჩერებისა და სხვა მხრივ.

შემოდგომა ზამთრის პერიოდის გამოყენებისათვის, ცხადია ჩამოთვლილი მცენარეები არ გამოდგება. ბარის ზონის თბილი ზამთრის რაიონებში კარგ შედეგს იძლევა ცულისპირა. ასეთივე პირობების მომთხვევია ბარდაც. ზამთრის მკაცრ უთოვლო პი-

რობებს უფრო კარგად იტანენ ველური ცირცველა, ხანდური
და სხვ.

ნაკელის ერთ-ერთი კარგი თვისება ის არის, რომ ნიადაგის
ტიპისა და მექანიკური შედგენილობის მიხედვით იგი 2-3 წლის
მანძილზე დადებითად მოქმედებს. ამ მხრივ მწვანე სასუქს თუ
უპირატესობა-არა, ყოველ შემთხვევაში ნაკელზე ნაკლები დადე-
ბითი თვისება არ აქვს. მაგალითად, ქართლში მწვანე მასა ჩახ-
ნულ მიწაზე ნაკელშეტანილ მიწასთან შედარებით შაქრის ჭარ-
ხლის მოსავალი 44 ცენტნერით მეტი იყო მიღებული.

ცნობილია, რომ დათესვის წინ მწვანე მასის ჩახნა ხშირად
პირველ წელიწადს უარყოფითადაც კი მოქმედებს, ან დადებითი
მოქმედება უმნიშვნელოა. მაგრამ თუ იგი იძლევა პირველ წელ-
სავე ღიღ ეფექტს, ეს იმის გამო, რომ მწვანე მასის ჩახნა შე-
მოდგომიდანვე (ნოემბერში) წარმოებს. ცხადია, რომ მწვანე მასა
მეორე წლის აპრილისათვის ნაწილობრივ გახრწნას ასწრებს და
სიმინდის მოსავლიანობაზე გავლენას ახდენს. მეორე წელს პირ-
ველ წელთან შედარებით საგრძნობლად დიდება ეფექტიანობა.
მესამე წელს დადებითი გაელენა შესამჩნევია, მეოთხე წელს ეფექ-
ტი თითქოს შენელებულია, მაგრამ დადებითი მოქმედება მაინც
გრძელდება. ეწერ და ძლიერ გამოფიტულ ნიადაგებზე კი მწვანე
სასუქის დადებითი მოქმედების ხანგრძლივობა შედარებით ხან-
მოქლეა. მოქმედების ხანგრძლივობა მთლიანად დამოკიდებულია
ჩახნული მწვანე მასის რაოდენობაზე.

გარკვეულია ისიც, რომ წელიწადში ზედიზედ საშემოდგომო
ხორბლის ნათესებს შორის სიდერატების ჩართვა ტექნიკურად
შესაძლებელია, მწვანე მასასაც არ ვიღებთ მცირეს, მაგრამ ამის
დიდი აუცილებლობა არ არის, ვინაიდან მწვანე სასუქის უშუალო
მოქმედება დაბალია. ზედიზედ მიყოლებით საშემოდგომო ხორ-
ბლების ნათესებს შორის სიდერატების ჩართვის სინამდვილეში
სამეურნეო და აგროტექნიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს. ამიტომ ეს ღონისძიება ბარის ზონაში ფართოდ უნდა
გამოიყენონ.

საკოლმეურნეო მინდვრებზე სიდერატების მასობრივად გა-
მოყენებისათვის აუცილებელია სასიდერაციო მცენარეების მეთეს-
ლეობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. ამ მცენარეების მეთეს-
ლეობა შედარებით იოლია. მაგრამ ჯეროვანი ყურადღებისა და

ორგანიზაციის უქონლად ვერ დადგება მტკიცე ნიადაგზე. ყველა
კოლმეურნეობა, როგორც წესი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს.
საკუთარი თესლით.

როგორც ვხედავთ, ძირითად კულტურებს შორის სიდერა-
ტების ჩართვა მეტად მნიშვნელოვან და აუცილებელ ღონისძიე-
ბას წარმოადგენს საერთოდ ნიადაგის გაკულტურების საქმეში და
კერძოდ ყველა კულტურის მოსავლის გადიდებისათვის.





ଅଗ୍ରତାରଣୀ — ଅଲ୍ଲାଖୀଙ୍କ ସିମିନିସ-ଏ ଜ୍ଞାନାଳ୍ପାର୍କିଂରେ
ରୁପ୍‌ରେନ୍‌ଡ୍ରିଫ୍ଟ୍‌ରୀପ୍‌ରୀପ୍ — ଫଲପ୍. ଡା. ଶ୍ରୀଜିତାଶ୍ଵରିଲ୍ଲି
ଫଲପ୍. ଡା. ଅନୁଜାଭ୍ରାତିର୍ଦ୍ଦ୍ଵୀ.
ରୁଧାର୍ଜୁରୀରାଣୀ — ଫଲପ୍. ଡା. ପ୍ରକଳିତିରାଣା



გადაეცა წარმოებას 11/X-62 წ; სელმოჭერილია დასაბეჭდად 10/I-63;
ქაღალდის ზომა 60×84; ანაჭყობის ზომა 6×9,5; ფიზიკურ ფორმათა
რაოდენობა 2,0; პირობით ფორმათა რაოდენობა 1,3.

ფასი 10 ქაბ.

შეკვ. № 1999

ტირაჟი 8.100

უე 03008

საქ. ქპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.



А. С. Джапаридзе

**ЗЕЛЕННЫЕ УДОБРЕНИЯ ДЛЯ УВЕЛИЧЕНИЯ
УРОЖАЙНОСТИ ЗЕРНОВЫХ КУЛЬТУР**

(На грузинском языке)

Издание Общества по распространению
политических и научных знаний

Грузинской ССР

Тбилиси

1962



中
國
國
家
圖
書
館